

შინაური საქმეები.

№ 10.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი შეეკესე.

ყოველ-კვირული გაზეთი

კვირა, 17 მარტი 1913 წელი.

საქმე-კვლ-კვირული გაზეთი

შინაური საქმეები

საქმე № 17). და თვალისმა გამოშვების სიძის პაპის, სიმონის შვილის მისთვის. გამოვი ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის შასი:

წლიური ფასი:	წმ. წლი:	სამ თვე:	ერთი თვე:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფული შეიძლება წლიურად დასაწესებლად შეიძლება ასე განაწილდეს თვედან ა.შ. და 1 თვის ა.შ. განხილვის შემთხვევაში წინა წლის წესებს მივყავართ.

აღრიცხვა: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაურის: 1 მართლმადიდებლობის კვირიაკე—მღ. ს. მკედლიძისა; 2) შინაგან საქმეთა მინ. პროკურატურა. — 3) სასა-ბრებო—ა. პ. 4) კრიტიკული შენიშვნები—ბოძლელისა. 5) შარაძის ხსოვნას—ონფრე შვილისა. 6) ღია წერი-ლი—მხვილ თავდგირიძისა.

მართლმადიდებლობის კვირიაკე.
რომელმან აღმიაბოს მე წი-ნაზე კასთა, მუცა აღვიარო იგი წინაშე მამათა ჴმობს.

დღეს მართლმადიდებლობის კვირიაკეა. დღეს მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწა-ულობს თავის ბრწყინვალე საბოლოო გაიმარ-ჯვებას იმ ცრუ მოძღვრებ მწვალებლებზე, რომლებიც თავიდანვე ამბინჯებდნენ ქრისტეს სვეტად მოძღვრებას, ჩირქს სცებდნენ მის ღვთა-ებრივ ჩამომავლობას თავის ტლანქი უარის ყოფით. რადგან დარწმუნებული ვარ, რომ აქა მდგომარეთა უმეტესმა ნაწილმა არ იცის მიზე-ზი დღევანდელი დღესასწაულის დაწესებისა, ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემ თავს შეიკრე რამ ის-ტორიული ცნობა მოვიყვანო ამის შესახებ. მერვე საუკუნის დასაწყისში ბერძენთა მფეჟ-ლეონ ისაყრმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა თათ-რებზე, რომლებიც არ უსვენებდნენ საბერძნეთს განუწყვეტელი ომებით, და მოინდობა მათი გაქრისტიანება იმ აზრით, რომ გაქრისტიანე-ბული თათრები აღარ შეეფიწროებდნენ ერთმორ-წმუნე საბერძნეთს. მფეჟ თავის უგნურებით

*) წარმოთქმულია ქუთაისის ტაძარში.

მხოლოდ ერთ დაბრკოლებას ხედავდა ამ საქმეში, სახელდობრ, იმას, რომ თათრები უარსყოფენ ხატების თაყვანისცემას, როგორც კერპთმსახურებას. მაშასადამე ფიქრობდა ღვინო მფე. თუ საქრისტიანოში ხატების თაყვანისცემა მოვსპვეი, თათრები თავისთაყად გაქრისტიანდებიანო. ამ მიზნით მფევემ ჯერ ბრძანა ხატები ისე მოეწყოთ ეკლესიებში, რომ მლოცველი ვერ შესწლომოდა სამთხვევათ, ე. ი. ხატები მართო ოდენ ეკლესიის მორთულობა ყოფილიყო თათრების თვალში და არა ქრისტიანების სათაყვანებელი საგანი. რა თქმა უნდა, ასეთმა ვერაგობამ ვერ ვასქრა მახმადის შეილებზე. მაშინ მფევემ ბრძანება ვასცა ხატები ეკლესიებიდან და კერძო სახლებიდან მოედნებზე გ მოეტანათ და დაეწვათ. ვინც ამ ბრძანებას არა ასრულებდა, სდევნიდენ, აწაშებდენ. მფევეს გაუბტყუნდა მოლოდინი: ხატების დევნამ თათრები ვერ გააქრისტიანა. სამაგიეროთ გაჩნდა ვგრეთწოდებული ხატთა წინააღმდეგ მბრძოლთა მწვალებლობა, რომელიც მთელი 100 წელიწადი აღელვებდა მართლმადიდებელ ეკლესიას. ბევრი გამოჩენილი ეკლესიის მამები იბრძოდენ ამ მწვალებლობის წინააღმდეგ, ბევრმა მიიღო წამების ვირგვინი და ბოლოს მაინც ვამარჯუა ჭეშმარიტებამ ნიკეის მსოფლიო კრებაზე 787 წელს და კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე 842 წელს და აი სწორეთ ამ უკანასკნელმა კრებამ მართლმადიდებელ სარწმუნოების ვამარჯვების სახსოვრად დასდვა დღესასწაული მართლმადიდებლობისა დიდმარხვის პირველ ვერიაკეს.

ამიტომაც დღეს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანე ეკლესიაში უნდა იყოს და პირველ დამნობილი მადლობას სწირავდეს მაკხოვარს, რომელმაც დაიცუა ჭვევანაზე ჭეშმარიტი სწავლა მართლმადიდებლობისა. მაგრამ ბევრი ვაფასებთ დღევანდელი დღის მნიშვნელობას? ბევრმა ვიცით, რა არის მართლმადიდებლობა? სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ბევრს არ გვესმის მნიშვნელობა მართლმადიდებლობის სახელწოდებისა, საზოგადოთ სარწმუნოების ვამოძიების და შესწავლის სურვი-

ლი დაეცა ჩვენში. შკოლაში თუ ოჯახში დღეს უფრო მეტს კითხულობენ და მეტ ყურადღებას აქცევენ საერო მეცნიერებას: სასულიერო წიგნებს, იმ წიგნებს, რომლებიც ასწავლიან სჯულზე, სარწმუნოებაზე, სასუფეველზე. სრულებით ყურადღებას არ აქცევენ თითქმის ისინიც კი, ვინც ვალდებულია ზედმიწევნით იცოდეს მოელი სჯული და პასუხს აძლევდეს ყველა შეკითხველს. საღვთისმეტყველო განათლება სამღვდელთებაშიდაც დაეცა. წინააღმდეგ ის წიგნები, რომლებიც ღმერთზე, მარადისობაზე, სასუფეველზე, ერთი სიტყვით, სიკოცხლეზე გვიქადაგებენ დევნულებას განიკდიან ჩვენ ვგრეთ წოდებულ მართლმადიდებელ საზოგადოებაში და მათი ადგილი უჭერია ისეთ წიგნებს, რომლებიც უხმავენ ადამიანს აღმაფრენას, უნათესავებენ ცხოველებს, აკრავენ დედამიწას, ამორებენ ცას, შეუშინეველად უხმამავენ სულს, აძულებენ თავს, მოკვასს, ჭვეყნიერობას და მიჰყავთ სასოწარკვეთილების უფსკრულამდე. დასამტკიცებლათ ამისა შეიხედეთ რომელ ოჯახშიდაც გინდათ, ვადაქვეთ საწერი მაგიდები, ვამოანგრიეთ საწიგნე შეაფები, იქ შეხედებით ყოველნაირ საერო წიგნებს უკანასკნელ ჭეჩურ საოხუნჯო წიგნაკებამდე და ვერ შეხედებით კი ცხოვრების წიგნს, ვერ ნახავთ სახარებას, ვერ იპოვით ერთ წიგნასაც, რომელიც ასწავლიდეს საღვთო მეცნიერებას ადამიანის დანიშნულებაზე. ღმერთზე სჯამაასს და საზოგადოთ საღვთო საგნებზე ხომ ვერ ვაიგონებთ ოჯახებში და თუ ვაიგონებთ ეს მაშინ, როცა დასჭირდებთ მოიყვანონ მაგილითი კრუმორწმუნოებისა, ადამიანის გონების დაბნელებისა და დამახინჯებისა. საზოგადოთ დღევანდელი ადამიანი უფრო აფასებს წუთიერ ცხოვრებას, ვიდრე სამარადისოსს, ის სიამოვნებით და ვატაკიებით დაგიწყებსთ ლამარაკს რუსეთ იპონიის ომზე, დღევანდელ ბალკანეთის ამბებზე, ისეთ ვარდასულ ამბებზედაც კი, როგორც არის ნაპალეონის ომები; მოგიყვება ამ ომების მიზეზებს, დაგიმტკიცებსთ მათ აუკლებლობას, დასაჭიროებასაც კი, ჭეჭა დიდმბით მოიხსენიებს

სხვადასხვა ძველ და ახალ მეთეების და სარ-
დლების საგმირო საქმეებს, ერთ სიტყვასაც არ
დასძრავს და მასალიც არ აქვს გელაპარაკოს, სარ-
წმუნოების, სასიძების, საყვარულის, უბიწოების,
საზოგადოთ სათნოების და საღეთო ზნეობის
გმირებზე, როგორც არიან ვას. დიდი, ი.
აქროპირი, გრ. ლეთისმეტყველი. ერთი სიტ-
ყვითაც არ მოიხსენიებენ პავლე მოციქულს,
რომელმაც მთელი ქვეყნიერება შემოიარა სი-
ყვარულისა და სიმშვიდის ქადაგებით. გამოდის,
რომ მშვიდობიან ადამიანთა მუსრ გამვლები,
მტლეტელი და მაწამებელი ადამიანები უფრო
გვაინტერესებენ, ვიდრე სათნოების და სიყვარ-
ულის მთესველნი.

ჩვენი საზოგადოების ასეთმა მახინჯმა გო-
ნებრივმა მიმართულებამ არ დააყოვნა შესაფერ-
ი მახინჯი ნაყოფის გამოღება: გამრავლდა
ჩვენში ბიწნი და ლბედურებანი, დაეცა ზნეობა,
ალარავის უყვირს შეძობა, სიმუხთლე ცოლ-
ქმარ შორის, მკვლელობა, თვითმკვლელობა,
შეიქნა სრული თავაშვებულობა, ეგრეთ წოდებ-
ულმა განათლებულმა საზოგადოებამ პირი
იბრუნა ეკლესიისაგან, მიატოვა ქრისტეს აღ-
სარება და მიაშურა რას? თეატრს, კლუბს,
სხვადასხვა სასიგინრო და გასართობ აღგილებს,
რომლებიც თავის მართულობა-მოკახმულობით
და მნახველი საზოგადოებით ვნებათა აღძვრას
უფრო ემსახურებიან, ვიდრე სულის სიმშვიდეს,
ბიწიერებას უფრო ბევრს სათესენ, ვიდრე სა-
თნოებას, უფრო შურისა და სიძულილის დამ-
ყარებას ემსახურებიან, ვიდრე ერთმანეთის და-
ხლოებას და ერთობას. შებძანდით კლუბში
ნაშუადღევის 7-8 საათიდან — ვის ვერ ნა-
ხავთ აქ, მთელი საზოგადოების საუკეთესო ნა-
წილი და ყვეელი აქ არის. ექიმი, მკვლელი,
მასწავლებელი, აღმზრდელი, დიდი და პატარა
ჩინოვნიკი, ძალიანი წოდების და თანამდებობის
პირნი, ყველა, ყველა აქ არის და მათ შორის
ბანოენი ქალებიც, რომელთაც მიუტოვებიათ
ოჯახი, შვილები, საღვთისაწაულობით თავალწარ-
მტაც ტყინებივით მორთულმოკახმულან,
რომ მიიზიდონ, მიიპყრონ მამაკაცთა ყურად-
ღება, შემოიხედეთ ამ დროს ეკლესიაში, ვის

შევხდებით? შიშველს დიაკონათს და მასთან
ორიოდ მუდმივ მლოცველთ. და ეს თითქოს
განძრას ყოველ დღესსწაულში ხდება, როცა
ზარის ხმა ტაძრისკენ იწვევს ყველა მართლმადი-
დებელ ქრისტიანს. და რომ იკითხოთ ამის
მიზეზი, გეტყვიან მოგვებზე და ეკლესიაში ერ-
თი და იგივეს სმენათ. ნეტა რა მომბეზრდით,
რომ ეკლესიის კარსაც ვერ მიაგნებენ! როდეს-
აც ეკლესიას აღდგომასაც არ ნახულობენ, მაგ-
რამ ჩვენ გვიკვირს მაინც რა სხვადასხვაობას
ხედავენ ეს ვაებატონები და ქალბატონები
კლუბში? კარტი და ლოტო, ლოტო და კარტი,
ცეკვა და თამაში, თამაში და ცეკვა, ქალები,
კაცები; დაუნველენი თავბრუდამხშილი ბზრი-
ალი, ტრიალი, პირფერობა, მლიქვნელობა,
ერთმანეთის მოტყუება და სულ ასე ყოველ
დღე, ყოველ წუთში. სად აქ გამართობე-
ლი სხვადასხვაობა? სად არის აქ საგანი
უუსაყვარლესი ოჯახისა შვილებისა, ეკლესი-
ისა, ღვთისა, მაცხოვრისა? აქ არის მხო-
ლოდ წუთიერი სიამოვნება, ენებათა ღელ-
ვა და ხანგრძლივი, და შეიძლება სა-
მარადისოც, ჯაერი და სინანული უზრუნველო-
ბაში გატარებულ ახალ-გაზრდობაზე, დაკარ-
გულ ჯანსალობაზე დაფანტულ მხნეობაზე,
გაბნეულ ტალანტზე. ასეთი მახინჯი, ასეთი
უარყოფითი მიმართულება მიიღო დღეს ჩვენ-
მა ეგრეთ წოდებულმა მართლმადიდებელმა
საზოგადოებამ და ამიტომაც არის, რომ დღეს
მართლმადიდებლობის დღესასწაულს არ აფერა-
დებს ჩვენი ნასწავლი თაობა და მხოლოდ მდა-
ბალ უსწავლელ ხალხს აგვივსია ეკლესია. მაგ-
რამ კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან და-
ფარა ესე ყოველი ბრძენთაგან და გამოუცხა-
და იგი სულელთა! ნუ გეშინიან. მდაბიო მშაო,
და ნუ შედრკება შენი გული სასოებაში, თუ
შენ გვერდში არ ვიდგია შენი ნასწავლი მშა.
ბევრი იყენენ ნასწავლი და ბრძენი ძველ დრო-
ში, როცა ი. ქრისტე ქვეყნად მოღვაწეობდა,
მაგრამ მისი სწავლა, მისი მოძღვრება უფრო
მეთევზურებმა შეიგნეს. მისი ღვაწლი კაცობრი-
ობისთვის უფრო გლობაკებმა დააფასეს და პი-
რველათ ისინი შევიდნენ მის სამეფოში მის სა-
სუფიველში. ქრისტეს შემდგა ქვეყანა მეთევ-
ზურებმა გაანათლეს, განაახლეს, სული ჩაუდ-
გეს მკვდარ, ბოროტებში ჩაფლულ, ზნეობით

დაცემულ და გათახსირებულ კაცობრიობას. ნუ, ნუ გეშინია, ძმაო, ღმერთი არ აფასებს ადამიანის მაღალ სწავლა-განათლებას, მისი საღვურია სული შემოსვრილი, გული შემოსვრილი და დამდაბლებული. მას არ გაჰკვირს დიდ დიდი სასახლეები; იგი უფრო ადვილად თავსდება მწყემსების გამოქვაბულში, ლაზარე მეგობრის სახლში, ღარიბ იოსებ ხუროს ოჯახში. მაშ ჩვენ, გლახაკთა, ვიდღესასწაულოთ დღევანდელი დღე მართლმადიდებლობისა, ჩვენ ვიხაროთ სულითა, რომ მართლმადიდებლობამ სძლო მწუვლებლობას, რომ სინათლემ გაიმარჯვა სიბნელებზე, სამოთხემ ჯოჯოხეთზე, ეს გამარჯვება სამუდამოთ შეგვერჩება, სანამ უკანასკნელი მეორეთ მოსვლის საყვირი არ დასცემს თავხარს ღვთისა და ეკლესიის უარის მყოფელს, მკედარნი აღდგებიან უხრწნელნი და ჩვენ, ცოცხალნი, განვახლდებით. ნუ დაგვემდურებიან ჩვენი უფროსი ძმები, თუ, ყოველი ღონისძიების შემდეგ, დღეს ეკლესია უარყოფს მათ, გამოაცხადებს, რომ იგინი არ არიან შეილნი მისნი, სამაგიეროთ დამდაბლონ თავნი თვისნი, მოიდრიკონ ამპარტყეანი გული, დაუმარჩილონ ზეფი გონება თვისი ღვთის სიბრძნეს, შეურიგდენ იმ აზრს, რომ ქვეყნად არ არის კეშმარიტი ბედნიერება ადამიანისთვის, რომ ვერაფერი განცხრომა, ვინა გონების განვითარება, ვერ დააკმაყოფილებს ადამიანის ბედნიერებისადმი ლტოლვილებას, შეიგნონ, რომ სიცოცხლე სიკვდილს შემდეგ იწყება, სადაც არ არის საღმობა, და მწუხარება, დაუბრუნდენ ეკლესიას, აღიარონ ქრისტე ძედ ღვთისად, სულითა და ხორცთა მპყრობელად, რათა იგინიცა და ჩვენცა აღვვიაროს უფალმა წინაშე მამისა თვისისა. ამინ.

მღ. ს. მკვდელიძე

შინაგან საქმეთა მინისტრის პრეზერამა.

გახუთ „ტანის“ კორესპონდენტ ებაასა შინაგან საქმეთა მინისტრს შეკვალეს.

— გახუთ ისოდეთ რაში მდგომარეობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დარკში განხორხული ჩუფდორმების მოხდენა? შეეკითხა მინისტრთ კორესპონდენტ რიფეს.

— ფრიად ძნელი არის ჩემთვის წათელი და გარკვეული პასუხის მისემა ამ რთულ საკითხზე. იმდენი რამ არის გასაკეთებელი, გასაუმჯობესებელი, რომ მე მხოლოდ ესლა ვეწნობი რუსეთის საჭიროებას, ხალხის მთახონილებას. თქვენ შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოთ, რომ მე, შინაგან საქმეთა მინისტრი, შეგნებულნი მომხრე ვარ დეცენტრალიზაციისა. საჭიროა მონარქის წარმომადგენელთა უფლების გაფართოვება. პირველ ყოვლისა განხორახული მაქვს შივაქსიო ყურადღება პროვინციის, იმპერიის კორაჟესს, რადგანაც იგი უფრო საჭიროებს მხრუნველობას, ვიდრე ცენტრად. ცენტრის მთავრობამ არ უნდა იკისროს ყველა საკითხების გადაწყვეტა. შეუძლებელია ადგილობრივი საკითხები პეტერბურგში გადასწყდეს. გუბერნატორებს უნდა მიეძეთ უფლება დამოუკიდებელი გამოქმედონ ადგილობრივ საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

ამაზე მიპასუხებენ, რომ ბოროტ-მოქმედების შიში იქნება. რათა ეს საფრთხეს თავიდან ავიცილოთ, გუბერნატორთა უფლებების გაფართოებასთან ერთად დააწესოთ კანტროლი, რასაკვირველია კანტროლი ნამდვილი, ვიდრე დღეს არის. ამის მოგვარება ძნელი არ უნდა იყოს, ესლანდელი რევიზიები უნდა იყოს ესლანდელი რევიზიები უფრო გამოიყენება. შინაგან საქმეთა სამინისტროს წევრი დაწვრილებით ვეწნობა ადგილობრივ პირთებს და მთავრობას. შემდეგ დაწვრილებით მოხსენებას წარუდგენს ცენტრალურ სამმართველოს. კანტროლი არავისთვის არ უნდა იყოს დამამპირებელი და თავმოყვარეობის შემლახავი. ჩემის აზრით, კანტროლი ერთადერთი საშეალება დავამტკიცო, რომ მე პირუთენელად და ერთგულად ვასრულებ ხელმწიფის და სამშობლოსადმი მოვალეობას. სისტემური დეცენტრალიზაციისთან ერთად სამინისტრო ესდება შემოიღოს ერთბა იქ, სადაც არ არსებობს. ჩვენს მართვა-გამგეობაში არის ერთი წყლული, რომელიც დაუკონებელივ განკურნებას მოითხოვს ეს, პოლიციის მდგომარეობაა. რადგანაც პოლიციის მოხელენი აქამდის ფრიად მსიბრე გამაგიროს იღებენ, ისინი იძულებულნი იყვნენ შემოსავლის იმ წყაროსთვის მიფშართათ, რომელიც მათ ღირსებასა და მოვალეობას არ შეტყუროდა და ჩირქსა სსხებდა. პირველი სდა პოლიციის რეორგანიზაციის მოსახდენათ იყო გუბერნატორთა თათბიროს მოწვევა. ამ თათბირმა საპოლიციო რეფორმის ძირითადი დებულებანი გუბერნატორებთან ერთად, რომელნიც უკეთ იცნობენ ადგილობრივ პოლიციის ღირსება-ნაკლებულელებას, შეეძინე მათე პარაქტი პოლიციის ყველა მოხელეთათვის გამაგიროს მოსამატებლად, ამასთანავე მიღებულნია ზომები ბოროტ-მოქმედების ჩადენის წინააღმდეგ. გამაგიროს მომატება შეძლებას გვაძლევს მოხელეთა დანიშნვის კრთის დართი არჩევანი მოვანდინოთ. რუხეთში დღითიდღე იზრდება დამნაშავეთა

რიცხვი, თან და თან დანაშაულობა მრავლდება. ამის მიზეზი ჯერ ერთი ის არის, რომ ახალგაზდობას მოუხდა მღელვარების დანაში (მხოვრება 1606 — 1606 წელს. შიში ლეთისა და კანონის სოფლადაც კი იკარგება. სოფლისა და ქალაქის მსხოვრებთ დიდად ეშუქრება ნაძირალების გამრავლება; გუბერნატორების უფლებათა გაფართოება შეუღობას მისსეგს მათ, მიიღონ ნაძირალებთან საბრძოლველად. სპეციალური ზომები, სახამ საამისო კანონი შემუშავდებოდეს. ამ რიგად ჩვენ შეგვეძლება ბრძოლა ვაუწიოთ ბოროტებას და ამასთანავე გვექნება მოსლა ვუღმუშიდათ და დაწერილებით ვიშუშავოთ კანონის შესაწესებლად, რასაც სათათბიროში წარუდგენთ. ხალხის ზნეობრივი დასუქანა და დამნაშავეთა გამრავლებასა აღნიშნულ მიზეზის გარდა, ძალიან ხელს უწყობს ლოთობა. რიღესაც გლეხი სმას მიქყოფს ხელს, მასში თანდათან იკარგება შრომის ხალისი, სხვისი პიროვნებისა და საკუთრების პატივისცემა, ლოთობას მთავრობა ჯერჯერობით ადმინისტრაციის წესით უნდა უბრძოლოს, რასაკვირველია ლოთობის ერთიანად აღმოფხვრა ყოველად შეუძლებელია. ჰავის სიმკაცრემ ზოგიერთ ადგილებში ალკოგოლის ხმარება მხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებად გახადა. საჭიროა წინააღმდეგობა ვაუწიოს ალკოგოლის მოქარბებულ ხმარებას. ამ მიზნის მისაღწევად სახაზვნო არყის ღუქნებს არ გავუნსით იქ, სადაც ჯერ არ არსებობს, თუ რასაკვირველია, თვით მსხოვრებლებმა არ მოითხოვეს. შემდეგ საჩქარო რეფორმად პასპორტების მოწესრიგება მიმანია. ხშირად პატიოსან ხალხს ავიწყდება პასპორტის განახლება ან აღება. საექვეო პირნი და არაშადანი კი ფრიად ადვილად შოულობენ პასპორტებს. ისინი იმდენ პასპორტს შოულობენ, რამდენიცა მსურთ. საზღვრებზე მტკავრებმა ებრაელებმა სწორედ ხელობად გაიხადეს პასპორტების დაშალება, რუსეთიდან განასვლელად თუ შემოსასვლელად. საპასპორტო სახელმწიფოები უმეტეს ნაწილად ვალისიის ქალაქებში და ბუსეთის პოლკანეთში იმყოფება. რათა ბოლო მოეღოს მას და საზოგადოება უშიშრად ვყოთ, საჭიროდ მიმანია გავაძლიეროთ კანტროლი. ამასთანავე ოლქის პოლიციის უფროსებსა და მარხის უფროსებს, უნდა მიეცეთ უფლება საზღვარ-გარეთის პასპორტების მიცემისა; ეს უფლება საგუბერნიო კანსელარიის კუთვნილება იყო ბოლოდ, ჯერ ერთი ამ საშულებით გაადვილდება პასპორტის მიღება და მეორე მხრივ ადგილობრივად უფრო მსობილია, ვინ არის ღირსი პასპორტის მიღებისა და ვინ არა, საექვეო პირთა მოხოვნელი თუ არა.

(დასასრული იქნება)

ს ა უ ბ რ ე ბ ი

გიორგი საღაშო

6. ღმერთი რომ არა გვწამდეს, უნდა ვიწამოთ ყოველივე.

როცა ხელახლად მოვიდნენ მღვდელთან ორივე მოსაუბრენი, თომამ დაიწყო ღაბაბაკი გულიანად და სიყვარულით ამ რიგად: ვიღრე თქვენ დაიწყებდეთ დარიგებას, მაშაო, შე მინდა გიამბოთ თქვენ ერთის, ძალიან უცნაური შემთხვევის შესახებ! უკანაქველ კვირადღეს მოვიდა ჩვენს სოფელში ერთი დურგალი; ის მოვიდა ადრე, წირვის დაწყებამდე. მაგრამ ეკლესიაში არ წასულა, და როცა ხალხი ეკლესიაში იყო, ის თავისუფლად დასვირბდა. წირვის შემდეგ ის შემოვიდა ჩვენს სასტუმროში და აქ დაგვიანბა რა შეხედულობისა ყოფილა სარწმუნოებაზე. სხვათა შორის მან სთქვა: შეცა მრწამს ღმერთი, მაგრამ ისეთი კი არა, როგორც გწამთ თქვენ სოფელელებს. თქვენ ეძებთ ღმერთს ეკლესიაში და იქ თავყანსა სცემთ მას, ჩემი ღმერთ კი არ არის მომწვედელი ტაძრის კედლებში, ის მათ გარეშეა, ის ბუნებაშია, თვითონ ბუნება არის ღმერთი, სთქვა მან, ყველაფერი ღმერთია. რასა ბრძანებთ ამაზე, მაშაო?

მღვდელი: ვინ დაიჯერებს ამისთანა სისულელეს? ძალიან ბევრი უნდა მოთხოვოთ კოტბრიობას, რომ დააჯეროთ ყველაფერი ღმერთიაო. ურწმუნობმა, ათვისტებმა გამოიგონეს ყოველნაირი სისულელე იმისთვის, რომ გაამართლონ თვისი ურწმუნობა პირადის ლეთისა და შემდეგ სხვებს ეუბნებიან, რომ ჭეშმარიტებად მიიღონ ეს ბოდეა.

პეტრე: საჭიროა ვგრე გვწამდეს, თუ მივდიეთ ურწმუნოთა მოძღვრებას.

მღვდელი: უფრო მეტიც, ვიღრე ჩვენა გვრწამს ჩვენი წმ. სარწმუნოების ჭეშმარიტებანი. ამიტომ შე გადავწყვიტე ამ საღამოთა ვიღაბაკოთ იმაზედ, რომ აუცილებელია გვრწამდეს ყოველივე, რომ არა გვრწამდეს ღმერთი.

ურწმუნოებს უყვართ და ცინვა ჩვენს საქრისტიანო სარწმუნოებისა და ფიქრობენ, რომ მგტის მგტია. რომ კაცმა ჭეშმარიტებად სცნას ყოველივე, რასაც ვვასწავილის ქრისტიანობა, მაგრამ მოვისმინოთ როგორ თხოულაობენ ურწმუნონი კაცთაგან, რომ მათ ყოველივე ირწმუნონ. მათ რომ ყური უგდოთ, უნდა ეირწმუნოთ, რომ

1) ყოველივე არის ღმერთი, მთელი ბუნება, მთელი კაცობრიობა არის ღმერთი, როგორც უთხრა თქვენმა ღურგალმა ურწმუნოებს. რა სასულელეა ამაში: ყოველივე არის ღმერთი! ეს ხომ რაღაც გაუგებარი ღმერთი იქნებოდა და ისევე ნაკლებად ღირსია ღვთად წოდებისა, როგორც ხის ნაჭერი ანუ ქვა: მიტომ რომ ღმერთი არის არსება, რომელიც არსებობს თავის თავად, თვით არსია, მაშასადამე თვისის არსებით არავისგან არ წამომდგარა. ესლა რომ მთელი ქვეყანა ღმერთად ვსკნათ. მაშინ ეს ღმერთი უთუოდ სხვა ღვთისგან უნდა იყოს შექმნილი: მიტომ რომ ქვეყნიერება და ყოველივე რაც არის ქვეყნიერებაზე ცვალებადია. ხალხ იმას, რაც იცვლება უფქველად უნდა ჰქონდეს დასაწყისიც, მაშასადამე არ შეიძლება რომ ის არსებობდეს თავის თავად და თვისითა. მთელი კაცობრიობა რომ იყოს ღმერთი, ძალიან საკოდავი, უმეკარი, ცუდი და უძღოური ღმერთი იქნებოდა! ღმერთი ვერ შესძლებდა ვერც ერთის პატარა ბაღახის გაჩენას, ვერ შესძლებდა ვერც დროს განსზღერას, ვერც შუის სინათლეს, ვერც წვიმას, ვერც, მით უმეტეს კაცის სიკვდილის და სიკოცხლის დროს. მთელი კაცობრიობა რომ იყოს ღმერთი მაშინ არაფერი გაჩევა არ იქნებოდა კაცთა შორის, მაშინ ნიჭიერო და სუსტი შუის კაცი ერთნი იქნებოდნენ, მაშინ შერთაღისაც და უკანასკნელ დაშნაშეუსაც ერთნაირი ფასი ექნებოდა. მთელი კაცთა სწავადობება რომ იყოს ღმერთი, მაშინ ღმერთი იქნებოდა მიზეზი ყველა სისულელისა და მოთრტომქვედობის, რომლებიც ოდესმე ხა უდენათ კაცთა ამ მომავალში საიდნენ.

ან რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამ მოძღვრებას, რომელსაც ეწოდება პანტეიზმი კაცთა სიხოგადობისათვის? თუ ყოველივე ღმერთია, მაშინ ყოველივე ერთნაირათ კარგია, მაშინ არ არის გაჩევა ბოროტსა და კეთილს შორის, სათნოებასა და ბიწიერებას შორის. თუ ყველა ღმერთია, მაშინ აღარ არის თვითთული კაცისთვის თავისუფლება ნებისა, სუინდისი და კაცმა უნდა იმოქმედოს ისე, როგორც მოქმედობს. აქედან გამოდის, რომ ნებადართულია ყოველივე, სულ უდიდესი ცოდვები და დანაშაულებაც, რომ ღაპარაკი აღარ შეიძლება ბრალისა და სასჯელის შესახებ. თუ შენ ვინმე გაგვარცვას, გაგატურდაეს, მოგკლავს, თუ ვინმე ცეცხლს წაუკიდებს შენს სახლს, თუ ვინმე ბოშის აფეთქებით ბეერ კაცს დაღუპავს, ყოველივე ეს, პანტეიზმის მოძღვრების თანახმად, არ უნდა იქნეს დასჯილი. სად მივიდოდით თუ ამ მოძღვრებით ვიხელმძღვანელებდით? მაშინ მთელი კაცობრიობა გადიქცოდა ორ ერთმანეთზე გადაშტერებულ შანაყად, რომლებიც ამოსწვეტდენ ერთმანეთს ამ პანტეისტურის სარწმუნოების საბელით, რომელიც ამის ნებას იძლევა.

და თუ ეს უგნური, ბოროტმანენელი მოძღვრება პანტეიზმისა, უნდა იყოს, როგორც ფიქრობს ბერლინელი პოროფესორი გარტმანი და მისნი მიმდევარნი „მოძავლის დაფარულ სარწმუნოებად“. ეს ურწმუნო თვისის „მეფუნებლის ფილოსოფიით“ მოგვიწოდებს ყოველივე ეფიოთ ამ სოცრებაში და იმ დროს კი გვეუბნება, რომ აქ არაფრის ბოენა არ შეიძლება.

ამ რიგად ჩვენ უნდა ეფიოთ ღმერთი აქაურს სოცრებაში, მაგრამ მისი ბოენა არა დროს არ შეიძლება! ასეთ ცოთილებაში ვარდება ხოლმე გონება კაცთა ყოველივის, როცა შორდება ღმერთს, როცა ურწმუნოებს მის

შეგრე რა საკოდაენი არიან ის კაცები, რომლებსაც მიუბედავით შაღალი ნიჭისა, არ უნდათ იცნან ის, რომელიც ასე ადელი საცნობია თვის მოქმედებათაგან! ეს ურწმუნონ ისეთ საგნების რწმენას ვვაიბულებენ, რომლებს შუის შესაბამისაც ცხადნ არიან ზვერთვის დღესაგურ.

მღვდელი: მაგრამ უფრო უარესად გვიხვევენ თვალმებს. რომ უარყოფი ყოვლის შემქმნელი ღმერთი ურწმუნონი ამბობენ: 2) ყოველივე გაჩნდა პირველყოფილი ნივთიერებისაგან. პირველიად არა ყოფილა რა გარდა მატერიისა, ე. ი. უწესრიგოდ არეულ-დარეულ ნივთიერების, ნამსცევებისაგან, რომლებიც შემდეგ დაიყვნენ ერთმანეთისგან და შეადგინეს ხილული ქვეყანა. შემთხვევით, უმაღლესი არსების უბელმძღვანელოდ, იქიდან წარმოსდგნენ მიწაც, წყალიც მკენარეებიც, ცხოველებიც და მოახრე კაციც კი. პირვანდელს მატერიაში ჩასახული იყო ყველა ცოცხალი არსება, და ამ რიგად ყოველივე გაჩნდა თავისთავად. ამ მოძღვრებას ჰქვიათ **მატერიალიზმი**.

ბშირად წიგნები მოუთხორობენ ხოლმე პავშებს არაკებს, ე. ი. შესახებ იმისთანა საგნებისა, რომლებიც არ არსებობენ, ან იმისთანა საქმეთა, რომლებიც არ მომხდარა და რომლების სიკრუე ერთის შეხედვითვე სჩანს.

ასეთივე ზღაპარია ისიც, რომ ყოველივე წარმოსდგა პირველი მატერიისაგანო. მაგრამ ეს პირვანდელი მატერია (ატომი) ხომ პკვდარი მასსაა, და ვითომც და მისგან გამოჩნდნენ ცოცხალი არსებანი: მკენარეები, ცხოველები და თვით კაციც კი! აბა ამას ვინ დაიჯერებს? ცნობილი გეკველი სცდილობდა დაეცვა და გაეერცვლებია ეს სისულელე, მაგრამ ის შეარცხვანეს და საბუთიანად გაამტყუნეს ისეთმა სწავლულებმაც კი, რომლებიც არ ყოფილან მორწმუნენი. მათ საბუთიანად დაამტკიცეს, რომ ცოცხალი არსება არადროს არ გაჩნდება უთესლოდ და ჩაუსახველად. იმათ დაგვარწმუნეს, რომ ის პაწია ცხოველებიც კი (ინფუზორიები), რომელნიც თვალით არა სჩანან, არადროს არ წარმოსდგებნან უსიკოც ხლო ნივთიერებისგან, არამედ უთუოდ ჩასახვით, მოშენებით.

ხალო თუ ამრიგად, თვით უშიშგებლო ცოცხალი არსებაც არაოდეს არ წარმოსდგება უსიკოცხლო მატერიისაგან, როგორც პირველი ნივთიერებისაგან, როგორ გაჩნდებოდა კაცი მის სულეირ თვისებებით? ეს ურწმუ-

ნონი ამტკიცებენ, რომ პირველყოფილი მატერია შეიცვალა განსახულების ყველა ცოცხალ არსებათა. მაგრამ, როგორც ყველა ბუნებისმეტყველები ამტკიცებენ, პირველიად ღვდამიწა იმყოფებოდა გამდნარს მდგომარეობაში, რომ მახედ სიკოცხლე შეუძლებელი იყო. აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ჩასახულება და თესლი მიანიჭა მიწას ვინმე სხვამ შემდეგ იმისა, როცა იგი გაცივდა. ვინ არის ეს სხვა არსება?

პეტრე. პასუხი, მგონია, ცხადია; მაგრამ ამჟყ ათვისტები ვერა პბედავენ და არც უნდათ ამახედ სწორა უპასუხონ. ისინი სხვა უფრო უცნაურ რამეებს გამოიგონებენ ხოლმე, ოლონდ ღვთის სახელი კი არ ახსენონ. ამ ბატონებს თვითონაც არა სწამთ ის, რაც გამოიგონეს თავის ქყუით ღვთის უარსაყოფელად; ისინი მხოლოდ იმას სცდილობენ, რომ წაართვან სარწმუნოება „სულელ ხალხს“, როგორც ისინი მას უწოდებენ, და გააუბედურონ დროებითაც და საუკუნოდაც.

თომა: ეხლანდელი სწავლულები სცდილობენ უღვთოდ იყვნენ.

მღვდელი. დიახ, ეხლანდელი ჩვენი სწავლულები ერიდებიან ღმერთს, რადგანაც მათ ეშინიანთ მისი. ისინი ჰგვანან ძმის მკვლელ კანეს, რომელიც მოუსვენრად დაძრწოდა ქვეყანახე, რადგანაც სვინდისი არ ასვენებდა. ასევე დაძრწიან ჩვენი ურწმუნო სწავლულებიც თვისი, ეგრედ წოდებულ სამეცნიერო გამოკვლევებით, და გამოიგონებენ ხოლმე ზღაპრებს ღვთის უარსაყოფელად.

მოვისმინოთ, კიდევ რა მოიგონეს მათ კაცის გაჩენის შესახებ, რომ ახალი საბუთი იქონიონ შემოქმედის უარსაყოფელად ისინი ამბობენ.

3) კაცი წარმოსდგა მიმუნისაგან.

პეტრე. არც ეს არის ცული. თუ ამ სწავლულებს სურთ წინაპრად იყოლიონ მიმუნნი, დაგვილოცნია, დეე იყოლიონ, ჩვენ კი დიდად უკაცროდ ვახლოვართ ამგვარს ნათესაობახე.

თომა: შენ, მგონია, ამის შესახებ ვერ არა გავიგონია რა, მე კი ვამიგონია ამ მო-

მღვრობის დაცვა სოციალ-დემოკრატთა კრებებზე და წამიკითხნია მათს წიგნებში. ენახოთ, მღვდელი რასა ბრძანებს ამაზე.

მღვდელი: ხილულს ქმნილებაში ჩვენ ეხედავთ თანდათან განვითარებას. არიან ქმნილებანი, რომლებსაც არა აქვთ არაგვარი გრძობა, როგორც მაგ. მინერალები; არიან ქმნილებანი, რომელთაც თუმცა აქვთ სიცოცხლე, მაგრამ არა აქვთ მოძრაობა, როგორც, მაგ, მცენარენი; არიან ქმნილებანი, რომელნიც მოძრაობენ. მაგრამ არა აქვთ სულიერი გონიერი მოქმედება, როგორც ცხოველები. არიან ქმნილებანი, რომლებიც სცოცხლობენ, მოძრაობენ კიდევ და სულიერი ნიჭიც აქვთ, როგორც, მაგ, კაცნი და ანგელოზნი. ამ საკვირველმა თანდათანობამ და პარამონიულმა წესრიგმა ბუნებაში საბუთი მისცა ინგლისელს **დარვინს** ემტკიცებია, რომ ბუნებაში ყოველივე წარმოსდგა და მოეწყო თავის თავად, თვითფული უმაღლესი არსება თავისთავად განვითარდა უმაღლესიდან, მაშასადამე უსულო მატერიიდან წარმოსდგნენ მცენარენი, მცენარეთაგან ცხოველნი, ცხოველთაგან კაცნი. ამ თეორიას, ანუ უკეთ ეთქვათ, ბოდვას ეწოდება **დარვინიზმი**. ერთმა შეიკარეღმა, სახლიდ კარლ ფოგტმა, მთელი თავისი ძალღონე მონადომა ამ „აღმოჩენას“ კაცის გამოკვლევისას და მთელ ქვეყანას მოსდო, რომ ეხლა ჩვენ სწავლულებმა ვიპოვეთ „ფილოსოფიური ქვა სიბრძნისა“: — კაცი მიიმუნისგან წარმოსდგაო. მაგრამ ამ ბატონების ზეიმი ძალიან ნაიდრევი იყო; ეხლა აღარც ერთს ქეშმარიტად განათლებულ კაცს აღარა სწამს ეს მიიმუნური თეორია, დამხოლოდ თავქფვილა და ზნეობა გაფუჭებული კაცებილა მისდევენ მას, მიტომ რომ სურთ ეცხოვრონ და გაათავონ სიცოცხლე, მხეცურად.

პეტრე: მე მაგონდება ზოგი რამ, რითაც მტკილდება თქვენ მიერ ეხლა ნათქვამი. დიდიხანი არ არის მას აქეთ, რა მეც ვიყავი დაბა ხ. სასტუმროში, სადაც ისდნენ სხვადასხვა ნაყოზრები, მეტ ნაწილად კი იმ დაბის მცხოვრებნი, სხვათაშორის იქ იყო იმ სოფლის მამა-

სახლისი და კამპანიის თავში იჯდა. ჩამოვარდა ლაპარაკი სარწმუნოებაზე, რომელიც ამ დაბაში მაღლა არ იდგა. ლაპარაკობენ მღვდლებზე, ქადაგებებზე და, რასაკვირველია ჰკიცხავენდენ. როცა ყველანი ჩხუბობდნენ, ევიროდნენ, ხმაურობდნენ, მამასახლისმა ხელი დაჭრა შაგიდას და დაიყვირა: „გაჩუმიდით! მე თქვენ გეუბნებით, რომ კაცი მიიმუნისგან წარმოსდგა!“

თომა: თუ ეგ მამასახლისმა სთქვა საკვირველი არ არის, რადგანაც ყველამ იცის, ის როგორა ცხოვრობს.

პეტრე: ყოველ შემთხვევაში სასურველი იქნებოდა, რომ კაცი მხოლოდ უმაღლესი ცხოველი იყოს, რადგანაც მას აღარაფერი შიში არ ექნება საიქოს.

მღვდელი: ეს მიიმუნური თეორია ეხლა დაეანგებულებოდა; უახლესის მეცნიერების სახელით, ამას წინად ბეოლინში გარდაცვალებულმა სრულიად ურწმუნო მისმა წარმომადგენელმა პროფესორმა ვირხოვმა საქვეყნოდ აღიარა; ჩვენ არ შეგვიძლიან მეცნიერულ აღმოჩენად გამოვაცხადოთ ის მიქარვა, რომ კაცი მიიმუნისგან ან სხა რომელიმე ცხოველისაგან წარმოსდგაო.

ამ ურწმუნო პროფესორთათვის, რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა წარმოედვინათ იმისი საბუთი, რომ კაცი ნამდვილად მიიმუნის ჯილაგიდან განვითარდა; კაცისა და მიიმუნის შორის უნდა გაველო აურაცხელად შრავალ წევრთ. სადმე უნდა მოიპოვებოდეს კვალი მათგან, როგორც დარჩა კვალი ბევრ უკვე გადაშენებულ ცხოველთა და მცენარეთა. მაგრამ ყველა მათი შრომა ამაო დარჩა. სტდილობდნენ მიეგნათ ამისათვის ძველ წარღენის წინ და მას შემდეგ თავის ქალათა განხილვით, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ შემაერთებელ საფეხურად მიიმუნისა და კაცის თავის ქალათა; და ამითი დაემტკიცებიათ, რომ კაცსა და მიიმუნს შორის არსებობდა ხილი. მაგრამ ასეთი თავის ქალა არსად არ უპოვიათ. ამაოდ ვეძებდით ჩვენ ამ შემაერთებელ წევრებს, რომლებსაც უნდა ეჩვენებინათ ქვეშირა კაცისა მიიმუნთან. იგივე სწავლული ამბობს,

რომ ხუთი ათასი წლის განმავლობაში არ ყოფილა არაგვარი ცვლილება თავის ქალას აგებულებაში. მაშ ხუთი ათასი წლის განმავლობაში კაცის და მაიმუნის თავის ქალები ერთი და იგივენი დარჩნენ, მაშ საკმარისი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთები იყვნენ ისინი უწინაც.

იეცნიერულად დამტკიცებულია, რომ უსულოდ მატერიიდან, უთესლოდ არაოდეს არ გამოდის ცოცხალი არსება, რომ მცენარე წარმოშობს მხოლოდ მცენარეს, ცხოველი წარმოშობს მხოლოდ ცხოველს, მაგრამ ყოველთვის ერთისა და იმავე ჯიშისას. ცხოველი მოშენდება ხოლმე მხოლოდ თვისი ნათესაობის საზღვარში. ასე რომ, თუმცა ცხენის და ვირის არევიდან გამოდის ჯორი, მაგრამ მას აღარ შეუძლიან გამრავლება, ასე რომ ურწმუნონი სასტიკად სტოებოდენ ამ შემთხვევაშიც, თუ ფიქრობდნენ, რომ ასეთი მოძღვრებით ანდერძი აეგოთ ცისა და ქვეყნის ყოველიდ შემძლებელის შემოქმედისათვის. მოძღვრება შესახებ იმისა, რომ თვითველი არსება თავისთავად განვითარდა სხვა არსებისაგან, რომ კაცი წარმოსდგა მისივე მსგავსი ცხოველისგან, მაიმუნისგან, სრულიად არ არღვევს ღვთის არსებას.

პეტრე: ჩვენ მადლობელი ვართ დღევანდელი საინტერესო გაკვეთილისთვის. ეხლა ჩვენ ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა გავიგონებთ, რომ ყოველივე ღმერთია, რომ ყოველივე წარმოსდგა პირვანდელი მატარიისგან, რომ კაცი გაჩნდა მაიმუნისგან,

თომა: შემდეგ დღევანდელი საუბრის მოსმენისა, შე ველარას დამაკლებენ ზღაპრით, რომ კაცი მაიმუნისგან გაჩნდა. შე სიხარულით უთმობ დარგინისტებს ამ საეკვოპატრეს იტრაბახონ ასეთი ნათესაობით. თუმცა მე წილად შრომისა და ზრუნაში ცხოვრება, მაგრამ მე ვამაუბ, რომ კაცი ვარ და რა ცხოველი.

პრიტიკული შენიშვნები.

(„გრდემლი“, სალიტერატურო კრებული, წიგნი პირველი).

(დასასრული).

შმეწინებია და მოსაწონი ბ. ი. ზურაბიშვილის მოგზაურობა „გზა და გზა“.

აეტარი 1910 წელს ზაფხულის თვეებში საქართველოდან გამგზავრებულა პარიზისკენ და მას აწერილი აქვს თფილისიდან გამგზავრება, ბოსფორი, კონსტანტინოპოლი, დარდანელის სრუტე, სპირნის უბე, ათინა, კატანია, ნეაპოლი, პომპეი და საკმაოთ მხატვრული ენითაც აუწერია მას ეს ქველის ძველი, კლასიკური ქვეყნები.

ამ უკანასკნელ დროს, მოძრაობის შემდეგ ჩვენში და, განსაკუთრებით, თფილისის ნასწავლ თავასუფალი პროფესიის ინტელიგენტებს შორის დაიბადა დიდი და საქებური, ცხოველი სურვილი დასავლეთ ევროპის ცხოვრების გაცნობისა. ყოველ წელიწადს, ზაფხულის თვეებში მიემგზავრებიან იქიდან ევროპისკენ ნასწავლი ქართველები და არავის, გარდა ბ. ბ. ი. ზურაბიშვილისა და კიტა აბაშიძისა, ფიქრადაც არ მოსვლია აეწერა თვისი მოგზაურობა, ევროპის ქვეყნები, რომელნიც გაიცნო, თვისი ნაგრძობი და ჩაბეჭდილებანი, რაც განიცადა მან. ნასწავლმა, განათლებულმა კაცმა უცხო ქვეყნები ნახოს, ახალი კულტურული ცხოვრების საოკარს დუღილში თავი ამოყოს, ადამიანმა, რომელსაც სამშობლოზე უკეთ აქვს შესწავლილი ისტორია, განვლილი ცხოვრება, მთელი ბრძოლის ქარცეხილი დასავლეთის კაცობრიობისა, ნახოს დღევანდელი ფრიად საინტერესო და დიდათ საგულისხმო ეპიზოდები. იქაური მოქალაქობისა და არ აღეძრას გულში უძლიერესი სურვილი ამ ნაზულის ქალაღზე გადმოტანისა, ყოველად შეუძლებლად მიმაჩნია სწორედ. მაგრამ ჩვენში ყოველისფერი შესაძლებელია ხომ. და, ამიტომაც, ჩვენი ახალი ლიტერატურა ასე დარბია, ასე დაკალიერუებულია მოგზაურობათა აღწერებითა.

ეს გარემოება აქამდის იმითაც აიხსნებოდა, რომ ქართველ კაცს, ჩვენს მოძმეს გარეთ გასულა, მოგზაურობა კირიციით ეზარებოდა. ჯერ მარტო ნეტარსენებული ლოარსაბ თათქარიძე თქვენის ნათელი გონებით მოიგონეთ, რომელიც ისე უზრუნველად დაბერდა, რომ კახეთიდან თბილისიც კი ერთხელაც არ ენახა. და რამდენია კიდევ დღესაც თფილისში დარბაისელი ქართველი მამულიშვილი, რომელიცა უშენიერესი კახეთი ერთხელაც არ უნახავს. როგორც ვიცი, განსვენებულ იაკობ გოგებაშვილს, რომელსაც „ბუნების კარში“ აღწერილი აქვს კახეთი, არც კი ჰქონდა ნახული ეს მხარე...

იმას მოგახსენებდით, ლიტერატურის სიღარიბის ნიშნათ ერთი ეს გარემოებაც არის. და, ამიტომაც, ჩვენ, ქართველები ვერ ვიცნობთ, არა თუ უცხო ქვეყნებს, უცხო ერების ცხოვრებას, არამედ ვერ ვიცნობთ ჩვენსაკუთარ ქართველთა ცხოვრებასაც. აბა, აიღეთ, ჩვენი, რომელიც გნებავთ, კუთხე ქვეყნისა, თუ აღწერილი გვქონდეს თუნდ იმ პრაგმის მიხედვით, რომელიც დაგვიწერა აკაკის „კრებულში“. განსვენებულმა აღექსანდრე ხახინაშვილმა, არ ვიცნობთ სრულიად და ზედმიწევნით, არც მთის, არც ბარის ქართველთა ცხოვრებას, არც ოსმალეთში ერთნახევარ მილიონ მცხოვრებ ქართველებს.

რომ შევეუდაროთ ახლანდელი ქართული ლიტერატურა გასული საუკუნის 60-იან მწერლობას; გაკიდებით მაშინ უფრო მეტი ისტამბებოდა ჟურნალ-გაზეთებში მოგზაურობანი, ვიდრე ახლა. ამასთანავე მაშინდელი მოგზაურობანი ყოველის მხრით შესანიშნავი, წმინდა მხატვრული ნაწარმოებნიც იყვნენ.

ავიღოთ, თუნდ მაგალითად, ნიკო ნიკოლაძის და დ. ერისთავის მოგზაურობანი. ბ. ნიკო ნიკოლაძემ ჟურნალ „კრებულში“ ასწერა თავისი შესანიშნავი მოგზაურობა და ამ საგანს მან მოანდომა მთელი ერთი ნუმერი. აქ კობტა მეტად დამაზის; სუბუქის ქართული ფენით პირველად ქროულს ლიტერატურაში მხატვრულად აღწერილია შვეი ზღვის მიდამოები. იქაურს მცხოვრები ქართველობა, მეტრე

რუსეთის ვრცელი მიდგრებია აღწერილი და იქ მცხოვრები ხალხი ყავს პირდაპირ ჰენოსური ტალანტით დახასიათებული. ჩვენი განთქმული პუბლიცისტი ამ დროს ესტუმრება პეტრეს ქალაქს და აქვე იგი ასწერს და ნატავს ჩვენი თვალის წინ პეტერბურგის დიდსა და სანაქებო ლეაწლს, სამსახურს, რაც კი მიუნიჭებია იქაურს ინტელიგენციას და ლიტერატურას უბედური რუსეთის ხალხისა და საზოგადოებისთვის.

პეტერბურგიდანავე იგი მიდის ევროპისკენ და პარიზს ეწვევა, სადაც მან უმალღესი სასწავლებლის კურსი სანაქებოდ დაასრულა. აბა, აქ უნდა კაცმა თვით მისი ნაწერი, ორიგინალი წაიკითხოს, რომ დასტავს სრულისამით და ნეტარებით.

მკითხველის თვალის წინ გაშლილია დიდი და მდიდარი სურათი მუდამ მოძრავი, მღელვარე პარიზის ჰენოსური მოწინავე კოლორიობისა, რომელმაც სხვერპლათ თავი შესწირა ხალხთა, ერების პოლიტიკურად გათავისუფლების დიადს საქმეს. აქვე არიან მეცნიერების, ლიტერატურის, მხატვრობის და კომუნის-გოლიათების ცხოვრება საუცხოვოთ, დიდის ენტუზიაზმით აღწერილნი და მკითხველიც ისე იხიბლება ამ აღწერილობით, რომ მას თავის დღეში აღარ ავიწყდება ეს მართლაც იშვიათის ტალანტით დასტამბული მოგზაურობა. მე წამიკითხავს ჟურნალი „კრებულის“ ეს ნუმერი ჩემი შევირდობის დროს, ამ ოცდაცამეტი წლის წინათ და ახლაც ისე მახსოვს იგი, თითქოს გუშინ, გუშინწინ წამეკითხოს.

რასაკვირველია, ბ. ი. სურაბიშვილის „გზა და გზა“ ასეთი დიდი მასტაბის ნაწარმოები არ არის. მაგრამ ავტორს ეტყობა დაკვირვებული და საქმით მხატვრული ნიჭი ნახულისა და გაგონილის ქადაღებზე ვადმოტონისა. მე წამიკითხავს ბოსფორის, კონსტანტინოპოლის უტურფეს არც-მარგთა საუცხოვო, იშვიათი აღწერანი და, უნდა მართალი მოგახსენოთ, ჩვენი ავტორის აღწერა კონსტანტინოპოლისა მე ვერ მაქამაყოფილებს...

გზა და გზა ავტორს კუთვნიან კაცის შენიღვენები აქვს გამოთქმული, აი, ერთი ამისთანა ადგილიდან: „...დავათვლიერეთ აკროპოლიც. თითქო კმაყოფილებას უნდა ვგრძნობდე, მაგრამ მის შავიერ რაღაც დანაკლისს ვგრძნობ, თითქო რაღაც დამრჩა უნახავი, რამაც უნდა გამიღვიძოს ის გრძნობა, რომელიც გამომიცდია ძველის საბერძნეთის ისტორიის სწავლის დროს, აქ დაიბადა და გადიშალა ისეთი კულტურა, აქ ცხოვრობდნენ იმდენი და ისეთი გმირები საქმისა, აზრისა და ხელოვნებისა, რომ მათი ნახელოვნარი და ნახარი ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი კაცობრიობის ისტორიის წიგნში, მის საუკეთესო ფურცლებს შეადგენს; აქ კი თითქმის უმნიშვნელო და ისიც მეტად პატარა ნანგრევები და დარჩენილა. თვალი და აზრი უნებლიედ უბრუნდება ახლანდელ ათინას, იქნება იქ ვპოვოთ ის, რაც უნდა მოწმობდეს წარსულ დიდებას. დღეინდელი დედა ქალაქი საბერძნეთისა ხელის გულზე გადაშლილივით მოსჩანს აკროპოლიდან. ლამაზია, ქუჩები სწორი, მშვენიერად მოკარწყებული, მშვენიერი დიდი და მალალი სახლები, ერთი სიტყვით, თქვენ წინ კარგად მოწყობილი ევროპული ქალაქია, მაგრამ ტუფილად ნუ ეძებთ იქ ძველის გმირების აჩრდილებს. იქ არიან სოფლები, არისტიდები, პომპროსები და სხვანი. მხოლოდ უსიტყვონი, მარმალლოლოდან გამოქანდაკებულნი და ისინი აკადემიისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა დარბაზებს ამშვენებენ. ახლანდელი საბერძნეთი არაფერით არ მოგაგონებთ. ვარდა სახელისა, ძველ საბერძნეთს: მან ეერ გამოიჩინა თავი თავის ძველთა საკადრისს შემკვიდრეთ. ახლანდელი საბერძნეთის ხსენებაზე გაგონდებთ გუშინ გამოჩეკილი, თითქმის უისტორიო პატარა სახელმწიფოები — სერბია, ბულგარია... ესენაც სახელმწიფოებია, მთავრობაც ჰყავთ, ჯარიც, მაგრამ ის, რაც ქმნის სახელოვან ისტორიას — სიბრძნე, ხელოვნება, პოეზია ან სხვისა, წასესებთ, ან თუ თავისი, რაღაც პატარა, სოფლიო მნიშვნელობას მოკლებული, ოღონდ, როდესაც ეს ასეა, სადმე

ბულგარიაში, ასეთი მოვლენა მართებულადაც შიანდეს იქნება კაცს და გული არ სწყდებოდეს, ხოლო, როდესაც ასეთ სახელმწიფოდ იქცა გმირთა ქვეყანა — ძველი საბერძნეთი, გულში რაღაც ხადი გრჩება ადამიანს“...

ხომლელი.

მაქსიმე როსტომის ძე შარაძის სსოვნას.

(†26 თებ. 1908 წ.)

„რას სათნობა, უმაღლესი ზნეობა, დიდი გრძნობა სიყვარულისა ვისა ჰქონდა ძველად შეთვისებულნი, მემკვიდრეობის კანონით, თითქო მაქსიმეში გამოხატა, მაქსიმეს ჰქონდა შემოსილი“ (გრ. ყიფშიძე).

არიან ადამიანები, მათი ზიისზე ძალიან მძინრეა, და რადგანას ამასთან ერთდებთან „ერდოთა და უბანთა ზედა“ გამოსხადებას, ამისთვის ისინი თითქმის უჩინარნი ხდებიან. სოციალური და ბევრი საქმე, — იო ორი სიტყვით ზასიანთ ამ ადამიანების მოქმედებისა, ქვაკუთხედი მათი ჩუმი, მაგრამ მრავალ ნაყოფიერი ცხოვრებისა. ასეთ ადამიანთა რიგსვე ვკუთნის მაქსიმე როსტომის ძე შარაძეს. სულ მძირე თითქმე ჩამოხატულ პირებში თუ იპიან ჩვენში, ეინ იყო მაქსიმე. თუ არ ვსთვები, ჩვენი ცხოვრების მატინეში ბეირიანი ნეკროლოგიც არ მოთავსებულა ამ იშვიათ ადამიანის შესახებ: ნამდვილად კი, ნე მგონია, მაქსიმემ საქმაოდ დამისახურა საპატიო და ღირსეული ადგილი საქართველოს ერთგულ და უკვდავ მუშაკთა შორის. განსაკუთრებით, დაუფუყარი დეაწლი და სამკვალითო მსხვერპლი შესწირა მან საქართველოს უპატრონო და განსამრტვერებულ ვაკლენიას. ეინ იყო მაქსიმე? რა მოიპოვოქმედო ამ უჩინარმა ადამიანმა? ბოგახსენებთ მოკლეთ,

არა ერთი და ორი ზეგარდმო მადლით მხებული ადამიანი მოუწია გურიის პატარა, მაგრამ კურბულუ და შირად მკვირსხლ კუთხეს. მაქსიმეს გურიაში დაიბადა, ს. ეწერში. ამბობენ, რომ მაქსიმეს პატარაობიდანვე არაჩვეულობრიობა ეტყობოდა. მაქსიმეს დედა ღრმად მოაწმუნებ ქალი ყოფილა და ტკბილ მუდუხთან ერთად ამ კურობულუ დედის უმანყო სარწმუნოებას ღრმად შეუასხდნობარსტობა თავის საყვარელ შვილისთვის. „მშორად მოგვარებოდა პატარა მაქსიმე დედის ყულოთჯან

და სახლის ერთ-ერთ ყურეში დაიჩოქებდა ალაპყრობდა თვალენსა და ხელებს მალლა და ლოსულობდა. იმისი ლოსკა ეს იყო თურმე: ღმერთო კაი ბკუა მომეს და კაი კასი გამომიყვანეო. ძალიან ხშირად გაეპარებოდა ხოლმე დედას, რომ მარტოდ-მარტო ელოძნ. დაუწყებდა დედა ძებნას, მიიბრუნდა ბავშვებში, იქ ბომ არა თათაშობსო. მაგრამ იქ ასე უპასუხებენ: იმას ჩვენთან თამაშობა არ უყვარსო. ერთხელ დედამ ყური დაუგდო, აბა, ხად იმალემა ბავშვიო; მაქსიმე ჩვეულებებისაგან ჩუმაღ თურმე გაიპარა და დაიწყო ლოსკა. დედამაპ დაინახა, — ბავშვები დარჩილია და ლოსულობს. მეტის-მეტის სიხარულით თავი ვეღარ შევიმაგრა და ტირილი მოუვიდა “(ინ. მაქმეს მითგრაფია, მისი ამხანაგებისგან შედგენილი თბ. 1909 წ. გვ. 10). სხრა წლის მაქსიმე სოფლის სასწავლებლებში შეუყვანიათ. სწავლაში სამაგალითო გულსმოდგინებასა და ნიჭს იჩენდა. ასე წარმოიდგინეთ მასწავლებელს სასტიკად უძეგია, რადგან მაქსიმე ხშირად შესჩივლებდა დედას, მასწავლებელი იმდენს არ მასწავლის, რადენის სწავლას შემიძლიაო. სამწებაროდ სიღარიბემ ნება არ მისსა მაქსიმეს ნიჭს, ფართო სწავლის მიღებით სრულად გამოემდღაენა თავისი იშვიათი სიდიადე. ვისაპ უნასაეს მაქსიმეს რჩეულ აღამიანთა ნიშნით აღბეჭდილი უჩვეულო გამომეტყველება, ვისაპ ერთხელ-ორჯერ მაინს მოუსმენია მაქსიმეს ღრმა და მიშტაპი ბაასი, მისთვის უეჭველია, რომ ეს აღამიანი ბეგრ რამის აღმთქმელი იყო, გარემოებებს რომ არ შეეკრა მისთვის დამთავრებულის უმაღლესი სწავლის მგზებარე წყურვილი: მაქსიმეს მდიდარი ბუნება ამით მაინს არ ჩამუქნარა. სხოვრების პირობებით სწავლის გზა-მოტკრილი, სიღარიბით შებოჩილი, მაგრამ დიადი ბუნების, ძლიერი სულის და ზღვა ენერგიის პატრონი მაქსიმე ანგრვეს ყოველსავე დაგრყოლებას და ძღვეამოსილად გამოდის რჩეულ გმირთა სამოღვაწეო გზაზე. სოფლის სასწავლებელ დამთავრებულმა მაქსიმემ ჯერ ოჯახში მამასთან მუშაობას მიყო ხელი. მდიდარი ბუნება კი არ ასვენებდა მას და უფრო ფართო, მნიშვნელოვან ასპარუზისკენ იწყებდა, და აი კიდევაპ, ერთდღეს, შინაურთა შეუმჩნეულათ მაქსიმე სტოვეებს სამშობლო კრას და თფილისისკენ ფურთო მიემგზავრებდა. ნათესავებმა ბევრი ეძებეს, მაგრამ ამოდ. მკედრად ჩასთვალეს და გამოიტორეს კიდევას. სოფლა ხნის შემდეგ მაქსიმე სწავის ნათესავებს: „ნათესავებო! შე დღვის შენსა, ამ ქვეყანაზე აღარა ვარ. ყველამ მკედრად ჩაით-

ვალეთ, რადგან, ღვთის შეწყვენით, საიკიო სხოვრების გზას დავადექი. თქვენს თავს უპატრონეთ. ჩემი იმედი ნუღარა გაქვთ. მაქსიმე, წერილს ზედ ეწერა: „წერილი საიკიოდან.“

მეოთხმოდე წლების პირველი ხანებია. მაქსიმე თფილისშია უბრალო მასამხანგრედ. იქიდან იწყება მისი თავგანწირული მოღვაწეობა. რა სურდა ამ უჩვეულთ ყმაწვილს? რით იყო იგი გატაპებული? დაუგდოთ ყური მისი ბიოგრაფი — ამხანაგებს: თავისუფალ დროს მაქსიმე სულ კეთილ საქმისათვის ზრუნავდა. საღმრთო წერილს კითხულობდა და სხვებსაპ უკითხავდა. ბევრი ნაშრომი და მეგობარი შეიძინა. ყველა თაფლივით ეტანებოდა მაქსიმესგან საღმრთო წერილის კითხვას და ტკბილ ქადაგებას. მისი პატარა ოთახი ყოველ საღამოთი სავსე იყო ხალხით. ვეღარს კი ვტოვოდენ, იმდენი იყენენ მსურველნი საღმრთო წერილის სწავლისა და სახარების სიტყვების მოსმენისა. თუ სადმე ქალაქში წმიდათა სხოვრების წიგნები იშოვებოდა, უყვადვი არ გაუშვიათ. სულ-ყველას სხვა-და-სხვა წიგნი მოქონდა და კითხულობდენ. ამ წიგნებს იქვე ინახავდენ. ხანდახან იმდენი ხალხი შეიკრიბებოდა საღმრთო წერილისა და ქადაგების სასმენელად, რომ სამი იმისთანა ოთახისპ არ ცყოფოდათ; მაშინ მიწდგრად გავიდოდენ ხოლმე.

მაქსიმე ძლიერ გაზარებული იყო. ხალხში ისე ლმობიერად კითხულობდა ქადაგებას, სახარებას და წმიდათა სხოვრებას, რომ სრემლს ვერ იმაგრებდი. ყვირუქმე დღეს, მღვდელის ნებართვით ეკლესიებშიაპ უკითხავდა ხალხს სხვა-და-სხვა ქადაგებას. ერთხელ მაქსიმე ბილიარდის მოთამაშებთან შეგვიდა და უთხრა:

— აბა, ძმებო, გთხოვთ ყური დამიგდოთ, ერთი რამ კაი ამბავი უნდა წაგიკითხოთ.

თამაში შეაჩერეს და მაქსიმემ დაიწყო წმ. გიორგის სხოვრების კითხვა. — ისეთს ლმობიერებაში შევიდნენ მოთამაშენი, რომ ყველამ ტირილი დაიწყო, სათამაშო ჯოხები დაყარეს და მაქსიმეს კლარ მოშლიდენ, თან გაყენენ, ბინა ისწავლეს და სხვებთან ერთად ისინისპ საღამოობით იკრიბებოდნენ (22-23). ადგილი ნებას არ მალღვებს განეგრობა დამატკევებული სურათები მაქსიმეს ამ დროის სხოვრებიდან. მკითხველს არა მჯერა, რომ ასეთი აღამიანი ჩვენს დროში სხოვრება, არა მჯერა და თანება მგონია ეს პირველ ქრისტიანთსებური აღმადოების სახეები და ეს ყველაფერი

ჩვენ თავაწინ ნობდა. უბრალო, უსწავლელმა ადამიანმა შესძლო ის, რასაც დღეს, მისიონერთა“ ლეგიონები ვერ ახერხებენ. ვინ იძის, ეს ლეგიონები რომ არ ისაუდენ ქრისტეს ეგებ უფრო ნათლად დინახოს ხალხმა ქრისტე მასხოერის სიურ უბრალოებით და წარმტაც სილიადით გაბრწყინებული სახე.

მაღუ ჩვენი მაქსიმეს გარშემო თანამგრძობთა მრავალ რიპხოვანი წრე შესდგა. ასეთ წარმატებით გამხნეებულნი მაქსიმე შეუდგა წრის შკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს. მან განიზრახა უფასო სასულიერო სამკითხველოს დაარსება. საგულისხმოა მაქსიმეს საუბარი ამ საქმის გამო საქართველოს ექსარხოსთან. „თუმცა დიდის სიხარულით ვეცებებით ამ თქვენს კეთილ საქმეს, ეუბნება ექსარხოსი, — მაგრამ თქვენ უსწავლელი ხალხი ხართ; ამიტომ ძალიან მეშინიან, ვაი თუ იმისთანა ნასწავლი კასი შემოვიდეს თქვენთან, რომელიც დაგიწყებთ სარწმუნოებაზე სჯას და თქვენის გამოუძღვლობით ურწმუნოების გზას დაადგეთ.“ მაქსიმემ მიუგო: „ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, ნამდვილი ბრძანება არის, არიან იმისთანა ნასწავლნი, რომელთაც დაუხშავთ სასუფეველის კარი, თვითონ არ შედიან და შემავალთაც აყენებენ, რომ არ შევიდნენ.“

ჩვენ ახლავ ვიცით, რომ ამისთანა უმეცარი ნასწავლი კასი ბევრი გამოვიჩინდება, მაგრამ უფალმა ვეიბრძანა, არ ვიწერთიდეთ სიტყვის საგებულად: მაშინ სული წმინდა არს მტყვევი და მე მოგსე პირი და სიბრძნეო. ჩვენ უნდა გვეჩინდეს საქმით შემკობილი მტკიცე ჭეშმარიტი სარწმუნოება და „ყოველივე შესაძლო არს მორწმუნისა მიერ“. სადას შევიკრიბება ორი ან სამი სახედიოთა ჩემითა მე მათ შორის ვარო. მწამს, ყოვლად უსამღვდელოსო მეუფეო, რომ სადას ღმერთი არის, სიბრძნეს იქ არის“.

ექსარხოსმა ნებადართო სამკითხველოს გახსნისა და ზედამხედველად დეკანოზი პეტრე კონსოშვილი დაუნიშნა (შემდეგ ეპისკოპოსი).

სამკითხველო წრის წევრთა ხარჯით იხსებოდა, მაღუ სამკითხველოსთან მოაწყვეს ვალობის სწავლაც. ვალობის მასწავლებლად ბოიწვიეს სხვათა შორის თ. პოლქისეფე ნაკაშიძე. მაქსიმემ ისე შეიკურთა მოკლე ხნის განმავლობაში ქართლ-კახური და იმერული კილო, რომ მაღუ თიფლისის სასულიერო სემინარიაში ვალობის მასწავლებლად დანიშნეს. ასავე დროს მაქსიმე ილია ტყეცაძისთან შეზარდა „ივერთის“ ეკავდიტოვად

(1886—1900 წ.). 1891 წელს მაქსიმე ამხანაგთა დახმარებით აარსებს სტამბას. მისი მიზანია ზნეობრივ-სარწმუნოებრივ წიგნაკების ბეჭდვა და ხალხში უფასოდ გავრსელება. გააჩაღეს მეზარბა სტამბაში, მაქსიმე თვით თარგმნიდა რუსულით სხვადასხვა ზნეობრივ შინაარსიან წიგნებს (მას სულ უთარგმნია და შეუდგე 80—მდე წიგნაკი). ლებულადა აგრეთვე სტამბისგან მიწვილ ამგვაროვე შინაარსის ხელთნაწერებს, შეუწყვეტლად ბეჭდავდა და ათასობით არიგებდა ხალხში. ეს მოტაა. გამოიწერა რუსეთიდან ნოტების ასოები (მგონი პირველად შემოიღო საქართველოში) და გაბრიელ ეპისკოპოზის ჩებართვითა და კუთხრებით მიყო ხელი იმ საგალობლების ბეჭდვას, რომლებიც იმერეთის სამღვდელოების ხარჯით იყო გადაღებული, მაგრამ მტერის საქმელად მიგდებული.

როგორც დრო მიდიოდა, ისე მაქსიმეს ძმობის საქმე უფრო და უფრო ფართოვდებოდა. „ძმობამ“ შეიძინა საკუთარი ჩინებული სახლი მოსკოვის ქუჩაზე, სტამბაც შიგ მოაწყო და შესამჩნევად გააფართოვა. ძმობის წევრებმა მაქსიმეს თაოსნობით ასეთი პირობა დასდეს ერთმანერთთან: ძმობის ქონება არავის გადაეცეს კერძო საკუთარებად. ძმობის თითოეული წევრი უანდერძებს თავის წილს ძმობასვე, ვიდრე ძმობის ქონება არ გადაეცემა ისეთს საღმრთო დაწესებულებას, რომელიც განაგრძობს „ძმობის“ მიზანს.

საოსარმა ჯაღამ უღროოდ მოსწვეტა წელი რკინის ენერგიის უკონ მაქსიმეს. მიღე-გმირულ მეზარობა, რაულალავი ზრუნვა ვერ აიტანა მისმა მოსვენებუნახავმა სხეულმა. 1901 წ. პიპიე ავით გახდა და ხანგრძლივ ავთმყოლობის შემდეგ მიიბარა თავის უმინკო და მოღვაწეობით შემკობილი სული ღმერთს 1908წ. 26თებერვალს.

აი ვინ იყო მაქსიმე, აი რა შესაძლო ყოვლად უკონომ; მაგრამ სულით მდიდარობა და ცთილ-მისწრაფებით მგზნებაოე ადამიანმა. ჭეშმარიტად არაბაისგან მან საოსარი საქმე დაატრიალა. სასკეიფრო ნაყოფი გამოიღო და ამავე დროს ნათლად გვაჩვენა, საქმით დაგვიმტკიცა, რომ ჩვენში ჩვეულებრივი წვეწმნი და უსაქმობის გამართლება უღონობითა და უკონობით მხოლოდ სულით დატესმასკებულ და სეცხლ ჩაქრალ ადამიანის სიხილოვანია. სამწუხაროდ, ჩვენში ბოლო რას ქონია, რომ მაქსიმეს დაღუბნებულ საქმეს მისსკემოდა. სანამდის მაქსიმეს ძლიერი სული თავს

დასტრიალებდა „მშობას“, იგი მკვიდრ ნიადაგზე იდგა. მთელი მაქსიმე და მშობის საქმეს ჩქარი ნაბიჯით უკან ვაეკანა. ამხანაგებმა ვერ გამოიჩინეს ნების სიმტკიცე და ერთხელ დასახულ მიზნის ერთგულება და მაქსიმეს ნატირნახულება საქმე მარადელ დაქსოეს და გაანიავეს, თითქო მაქსიმეს სიკვდილს შეეუბნებდნო. მაქსიმეს შემდეგ მშობის ქონების ბატონ-პატრონად ზემოხსენებულ ანდროძის ძალაან მისი ორი ამხანაგი დარჩა. მთელი ქონება მათ მალე შუაზე გაიყვეს. ერთმა მათგანმა სოლო შეირთო და მშობის ეზოში ღამაზად ჩავსახლა, მეორეს კი თავისი წილი სტამბა მშის წულებისთვის გადაუტია საწარმოოდ.

მაქსიმეს ღვაწლი? მშობის ანდროძი? კარგი, ამხანაგობის წვერებს უფლება აქვთ თავიანთი წილი, როგორც უნდათ ისე მოიხმარონ. გამოწირვა შემწირველის ზნეობრივ საზომის საქმეა და ამის შესახებ არაფერს ვიტყვი, მაგრამ რა იქნა მაქსიმეს წილი? ნუ თუ არაფერი ვერც იმ კაცს, რომლის ღვაწლითა და სიხბულის ოფლით აღმოატყნდა „მშობა“ მთელი მისი ქონებით, და რომლის საფლავს დღეს უბრალო ძველინ არ ფარავს, ასე რომ დღეს თუ ხვალ მისი კვალიც წაიშლება, მაქსიმეს ღვაწლი, მისი მსხვერპლად შეწირული სხეურება, მისი საღებრთო ანდროძი აბელისებურად დადებებს მის ამხანაგების წინაშე და ვუსურვებთ მათ შეისმინონ ეს სამართლიანი დადადი. ხოლო შენი კი საუკუნოდ იყოს ხსენება. პატრონანო ადამიანო და აშვიათო შეშაკო მაქსიმე, სწუხს შენი სული, რომ შენი დიდი მსნება შენმა მემკვიდრე-ამხანაგებმა ვერ დაიტყეს. შენ მარტო არ გწვევია ასეთი ბედი, ასე სწუხან ყველანი დიად ზრების გმირნი და მსხვერპლნი.

ონოდრე მწირი.

კვირიდან-კვირაძდე.

სალონიკაში მოკლეს საბერძნეთის მეფე გიორგი I, შმა რუსეთის ქერავე დედოფლისა მარიამ თედორეს ასულისა. მკვლეელი ბერძენი აღმოჩნდა გეარათ სხინასი, ცნობილი ანარხისტრი.

ათინაში როგორც კი ვაიფეს კოროლის სიკვდილი, ტახტის მემკვიდრეს კონსტანტინეს

ტელეგრაზით აცნობეს ჩამოსულიყო და ფიცი მიეღო კონსტიტუციის ერთგულებაზე. ის იმეფებს კონსტანტინე მეფორმეტის სახელით, რადგან ბიზანტიის იმპერატორთა შორის იყო კონსტანტინე შეთერთმეტე.

მკვლელმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. აფიცრის შეკითხვაზე, როგორ არ შეიბრლა მხარე, მიუგო, რომ ეს სოციალისტია.

ვოლინის არხიებისკოპოზს ანტონს სურს შეიტანოს საკითხი უწმიდეს სინოდში, რომ აკადემიის სტუდენტებმა ატაროს პორჩილის ტანისამოსი და დაუკვემდებარონ ისინი სასტიკ სასულიერო დისციპლინას, როგორც ეს არის კათოლიკეთა აკადემიაში, რომლის სტუდენტები ატარებენ სასულიერო ტანისამოსს

დევ. ვოსტროგოვი ჩასულა პეტერბურგში თავისი კურსების გამო, მაგრამ როცა ვაუგია, რომ მის კურსებს არაფერი საფრთხე არ მოეღის, ისევე მოსკოვში დაბორუნებულა ოქტომბერში მიიღებს ახალ მსმენელებს.

სამხედრო საექიმო აკადემიაში არეულობაა. მთავრობამ მოთხოვა სტუდენტებს, რომ მათ სამხედრო სალამი მიეცათ ოფიცრებისათვის. ამას სტუდენტები არ დაემორჩილენ და ერთმა აფიცრებმა ასეთი ურჩობისათვის მძიმეთ დასჯრა ერთი სტუდენტი. შეტაკებები ვხლევ ხშირია.

როგორც თფილისელი გაზეთები იწყობიან, იქ 15 ქალისათვის შეუწყნებიათ ოქმი, რადგან ისინი შლიაპის წვეტიანი ქინძისთაფუბათ ჩაძვდარან ტრამვაის ვაგონში.

წელს 25 წელი შეტრულდა, რაც მ. კონსტანტინე კარგარეიული ხოლის საკათედ-

რო მთავარდიაკვნათ არის. ვგზარბოსის ნე-
ბართვით აღდგომის შესამე დღეს მის იუბილეს
გაღიხლიან წირვიაპარაკლისით და მილოცვი-
ბით.

უწ. სინოდში განძრახეა აქეთ გადასახ-
დი დაადენ იმ ჩინებს, რომლებსაც შვედლე-
ბი დღემდრ მუქთად დებულობდენ. ამ განძრ-
ახის ძალით ჩინოვნიკ სამღვდლოეობას გადაახ-
დგეინებენ ბედნიეზე მ მანეთს, სკუფიაზე 10 მ.
და კამილაკაზე 15 მ.

ღია წერილი

მამათ რედაქტორო!

თქვენს პატივსემულ გაზეთ „შინაურ“ საქმეებ-
ის“ მეხუთე ნომერშიდ მოთავსებული იყო კორესპო-
დენსია სოფელ აკეთიდან ვინმე დამწრე მრეელთაგან,
რომელიც მე და ჩემ ძმას შალვას გვიხსენიებს ყოვლად
სახიზრად და გვიყენებს შემდეგ ბრალდებას:

1) ვითომც მე და ჩემ ძმას შალვას თქვესმეტრ წლის
განმავლობაში ჩვენი კლიაოზური მოქმედებით ხუთი
საუკეთესო მღვდლები გაგვეძიებინას ჩვენი ეკლესიიდან.

2) ვითომც მე და ჩემ ძმას შალვას სრულიათ უდან-
შაფლად გვეჩივლოს მღ. კოსტანტინე შარაშიძისათვის,
რას ვერ დაგვიმტკიცებია გამოძიების დროს, დამოწ-
მებისათვის დამტკიცებით რევიორველზე ხელი დამედვას.

3) ვითომც ჩემთვის გამოძიების დღეს მოემართოს 60
კომლამდი მრეელს და ეთქვას, რომ მე ამ კლიაოზურ
საჩივრისთვის თავი დამენებებია და ვითომც ჩვენივე მი-
ზეხსით მოშორებოდეს ხუთი საუკეთესო მღვდელი მასხო-
ვრის ეკლესიას.

4) ვითომც მე მღ. დავიდ ჯინჭარაძისათვის იძულებით
სახლი წამერთმონს ნაჩვევრის ფასად და ჩემი არ მიმე-
ცეს.

5) ვითომც მე და ჩემ ძმას ჩვენი არა გვებადოს რა
და სხვისი ნათფლარი გვინდა ვისხოვროთ.
ვევლა ამ ზებონსენებულ ბრალდების გასაბათილებლად
მოგახსენებთ შემდეგს.

1) თქვესმეტრ წლის განმავლობაშიდ მართალია ჩვენმა
ვალესრამ გამოისყვალა თითი საუკეთესო მღვდელი და არა
ხუთი, როგორც ამას მ. კორესპონდენტი სწერს, მაგრამ
ვევლა ეს ზემოხსენებული მღვდლები, რომლებთანაც ჩვენ
ყოველთვის კარგი განწყობილება გვქონდა. გადვიდენ არა
ჩვენი იძულებით, რასაც პატივსემული მღვდლები, იმე-
დრ ეთქვას, თვითონ დადასტურებენ. არამედ თავ
თავის წინაა.

2) მღ. კოსტანტინე შარაშიძისათვის მე არ მიჩივლია
არამედ უჩივლა ჩემმა ძმა შალვამ. რას აიძულა სა-
სალოდევი ბუნებისაგან დასჯილი ადამიანი (ხუთი წე-
ლია რას იბრვე თვალები დაუბრმავდა) თვით ზემო
ხსენებულ მღვდლის კოსტანტინე შარაშიძისა ყოვლად
უმსგავსო მოქმედებ, და მე გახლდი ჩემი ძმა შალვას
მაგიერ, რომ თვალი შედევნებია გამოძიებისა-
თვის და თუ არ დამიმტკიცებია ჩემი ძმის საჩი-
ვარი ამას მომავალი დაგვანახებებს; რას შეუხება
ჩემგან რევიორვერზე სელოს დადებით დაგვერდების და-
ხურეტით მოწმებზე დამტკიცებას. ეს ჩემთვის საჭირო
არ ყოფილა და არც მიქნია, რასაც დამტკიცებს თვი-
თონ გამოძიებელი მღ. ხომერიკი და მთავრობას წარ-
მომადგენელი, რომელიც დავსწრო საქმის გამოძიებას.

3) მე მოხოვა არა სამოსმა კომლმა, რომ საჩი-
ვრისათვის თავი დამენებებია, არამედ ხუთმა, რაზედაც
დავთანმდი იმ პირობით, თუ ეს შესაძლო იქნებოდა
და ჩემ ძმას ენებას არ მოუტანდა. მაგრამ რასა ვამო-
იკვა საქმე აღმოჩნდა, რომ ვარიგება მოუხერხებელი
იყო, თუ ჩემი ძმა კანონის წინა შე პასუხს არ აცვდა.

4) მე პატივსემულ მამა დავით ჯინჭარაძისათვის
იძულებით სახლი არ წამიბრთმევა, წინააღმდეგ ჩვენ
ყოველთვის კარგი განწყობილი ვიყავით ერთმანეთთან
და ეხლაც ვართ. არამედ იმავე დავით ჯინჭარაძის
თხოვნით ვიყიდე მისგან სახლი, რომელშიდაც მივეცი
შვიდასი მანეთი, და თუ მ. კორესპონდენტს გონია,
რომ ამ სახლისთვის შვიდასი მანეთი ნაბევრის ფასია,
ესთხოვე მას, ხუთას მანეთით თვითონ მიირთვას,
რადგანაც ჩემთვის უსარგებლოა.

5) მე არ ვფიქრობ, რომ მე და ჩემ ძმას მ. კო-
რესპონდენტის და თვით მღ. შარაშიძის ოდენა ქონება
არ გვეკონდეს. ჩვენ საზოგადოებაში ყველამ იპის, რომ
მე ჩემი პოლშვილით ათი წელიწადი ჭიათურაში ვცხო-
ვრობდი, სადაც ჩემი შრომით და ოფლით ვარჩენდი
ჩემ პოლ შვილს და ჩემ თავს. სხვისი ნათფლარით
თავის რჩენა მე არასოდეს გულში არ გამივლია.
დასასრულბ ვიწვევ მ. კორესპონდენტს სამედიატორო
სამართალში და ჩემის მხრით მედიატოროებად ვასახე-
ლებ პატივსემულ მღვდლებს: მამა ბესარიონ დოლი-
ძეს და ნეფრონ ტუსკას. ჩემ მოპირდაპირეს დლიდგან
ამა წერილის გამოსულისა ვაძლევ ერთი კვირის ვა-
დას მედიატოროების დასანიშნავად, თამლებიც გაბო-
ჩვენ ყოველივე სიმტყუნს-მართლეს ჩვენ შორის და გამ-
სხადებენ გაზეთის საშუალებით.

ამასთანავე ესთხოვე რედაქციას რომ, თუ მ. კორე-
სპონდენტი ამ კულტურული საშუალებით არ მოისურა
ევბს ჩემდამი ბრალოების დამტკიცებას, აიხადოს პირ-
ფრდა; გამოასხადოს მისი სახელი და გვარბი წინააღმდეგ
შემთხვევაში იძულებული ვიქნები ჩვენი შეუროსოვის
პასუხი მოვსთხოვო თვით რედაქციას, არსებული კანო-
ნის ძალით.

მიხეიდ როსტომის-მე თავდგირიძე.

„КАВКАЗСКАЯ ШКОЛА“

ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

ИЗДАТСЯ ВЪ ТИФИСЬ

При ближайшемъ участіи г. г. И. А. Акунова, П. П. Казанцева, Н. М. Спильоти, Э. Султанова и многихъ другихъ мѣстныхъ педагоговъ.

Программа журнала: 1. Статьи по теоретическимъ и практическимъ вопросамъ умственного, нравственного, физического воспитанія, образованія и самообразованія. 2. Психологія, экспериментальная педагогика. 3. Семейная и школьная жизнь Кавказа съ точки зрѣнія интересовъ воспитанія и образованія. 4. Художественное образованіе, рисованіе, лѣпка, ручной трудъ, музыка и пѣніе. 5. Природовѣдѣніе и образовательныя экскурсіи. 6. Школьная гигиена. 7. Критика и библиографія. 8. Школьная жизнь: корреспонденція, статистика, хроника и новости. 9. Почтовый ящикъ: вопросы и отвѣты. 10. Объявленія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА, на 1 годъ съ доставкой и пересылкой—3 р. полгода—1 р. 50 к., 4 мѣсяца—1 руб., для сельскихъ учителей съ доставкой и пересылкой на 1 годъ 2 руб., на полгода—1 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ магазинѣ Т-ва „ПЕСТАЛОЦЦИ“, Михайловскій пр., д. № 101.

Денежныя и всякія корреспонденціи направлять по этому же адресу съ припиской: Для „Кавказской школы“.

Редакторъ-издатель Х. Самуэлянь.